



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 117

2019 წლის 14 ივნისი

ქალაქი გორი

**გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-მიწის
ნაკვეთების: ს/კ 66.45.26.293 და ს/კ 66.45.26.365 სახელმწიფოსთვის საკუთრებაში
უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის
მიცემის თაობაზე**

გორის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოსა და ბორის გოგიჩაიშვილს შორის 2003 წელს 18 მარტს გაფორდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიიღველს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ გორში არსებული დამწვარი საჭიდაო შენობა (საერთო ფართი -12840 კვ.მ.). ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად გადაუხდელობის გამო გორის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2004 წლის 10 მაისის ბრძანებით მოიშალა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 მარტის N3/80-07 გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქონების მართვის გორის სამმართველოს 2004 წლის 10 მაისის ბრძანება და შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს დაევალა ხელშეკრულების აღდგენა. (გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში).

2016 წლის 2 თებერვლის N3/80-07 განჩინებით დაკმაყოფილდა ბორის გოგიჩაიშვილის განცხადება და 2007 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების მიმართ დადგინდა უფლებამონაცვლეობა, კერძოდ: ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გორის სამხარეო სამმართველოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტრო და გორის რაიონული სასამართლოს მიერ 2016 წლის 4 მარტს გაიცა სააღსრულებლო ფურცელი N3/80-07.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 დეკემბერის N1029 განკარგულების საფუძველზე უძრავი ქონება (ს/კ 66.45.26.293 და 66.45.26.062) რეგისტრირებული იქნა სსიპ თვითმმართველი ქალაქის გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, რომელსაც გადმოცემის პერიოდშივე და დღევანდელი მდგომარეობითაც დაკარგული აქვს (ს/კ 66.45.26.293 და ს/კ 66.45.26.365) ძირითადი ქონების ფუნქცია, როგორც სკვერი (მასზე განთავსებულია დამწვარი დანგრეული შენობის ნარჩენები) და რეალურად აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 66.45.26.293 და ს/კ 66.45.26.365) დაგეგმილი არ არის რაიმე სახის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

2019 წლის 18 აპრილს გორის მუნიციპალიტეტს წერილით მომართა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით სათანადო ცვლილების რეგისტრაციის (გამიჯვნა/გაერთიანება) განხორციელება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 121-ე მუხლით დადგენილი წესით ხსენებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროებას მოითხოვს მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებას (ს/კ 66.45.26.293 და ს/კ 66.45.26.365) შეეცვალოს კატეგორია და როგორც დამატებითი ქონება და საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 108-ე, 121-ე მუხლების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება-მიწის ნაკვეთები: ს/კ 66.45.26.293 და ს/კ 66.45.26.365 .
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე